ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის არჩევნების მონიტორინგის ანგარიში

2017 წლის 01 ივნისიდან 19 ნოემბრის ჩათვლით

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა 2

1. შესავალი 3

1.1 მონიტორინგის საგანი 3

1.2 მონიტორინგის მასშტაბი 3

1.3 ანგარიშის მიზანი 3

1.4 სამსახურის პასუხისმგებლობა 3

1.5 სამსახურის მანდატი 4

2. არჩევნებში მონაწილე სუბიექტები და ანგარიშების წარმოდგენა 6

2.1 ზოგადი ინფორმაცია არჩევნების შესახებ 6

2.2 ანგარიშების წარდგენა 8

3. შემოსავლების ანალიზი 11

3.1 საბიუჯეტო შემოსავალი 11

3.2 შემოწირულებები 12

3.2.1 ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ფულადი შემოწირულება 14

3.2.2 იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ფულადი შემოწირულება 15

3.2.3 არაფულადი შემოწირულებები 15

3.2.4 საწევრო შენატანები 16

4. ხარჯების ანალიზი 17

4.1 პოლიტიკური პარტიების ხარჯები 17

4.2 დამოუკიდებელი კანდიდატების ხარჯები 18

5. საჩივრებისა და დარღვევების შესწავლა 19

დანართები 20

დანართი N1 - კანდიდატების წინააღმდეგ სანქციების გამოყენების ცხრილი 20

დანართი N2 - პოლიტიკური პარტიების შემოსავლები 24

დანართი N3 - შემოწირულებები 25

დანართი N4 - პოლიტიკური პარტიების ხარჯები 27

დანართი N5 - დამოუკიდებელი კანდიდატების ხარჯი/შემოსავალი 28

დანართი N6 - საჩივრების რეესტრი 30

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (შემდგომში - სამსახური) ჩაატარა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისა (შემდგომში - არჩევნები) და წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, რომელმაც სამსახურის გადაწყვეტილებით მოიცვა **1 ივნისიდან 19 ნოემბრის** ჩათვლით პერიოდი.

ანგარიშის მიხედვით წარმოდგენილია ინფორმაცია სააგნარიშგებო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ განხორციელებული ხარჯებისა და შემოსავლების, სამსახურში შემოსული საჩივრებისა და მონიტორინგის შედეგების შესახებ პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის (შემდგომში - მონიტორინგის სამსახური) მიერ განხორციელებულ რეაგირებებზე.

არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობდა **22 პოლიტიკური პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი და 199 საინიციატივო ჯგუფი**, ხოლო მეორე ტურში (6 ოლქში) - 2 პოლიტიკური პარტია, 2 - საარჩევნო ბლოკი და 2 - დამოუკიდებელი კანდიდატი.

სამსახურმა სულ გამოითხოვა 11 სხვადასხვა პერიოდის ანგარიში, შედეგად ყველა სუბიექტის მიერ ჯამში წარმოდგენილია 1,500-მდე დოკუმენტი (30,000 გვერდამდე ინფორმაცია).

ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, 97 სუბიეტის მიმართ შედგა 131 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მათ შორის: 128 - დამოუკიდებელი კანდიდატის, ხოლო 3 - პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ.

ჯამში პოლიტიკური პარტიების მიერ დახარჯულია 27,270,568 ლარი:

1. ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო - 17,600,948 ლარი.
2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 2,078,378 ლარი.
3. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - 1,523,360 ლარი.
4. ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის - 1,484,891 ლარი.

ჯამში საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულმა შემოწირულებამ შეადგინა 16,418,892 ლარი:

1. ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო - 14,815,653 ლარი.
2. ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის - 951,834 ლარი.
3. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 122,496 ლარი.
4. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - 66,392 ლარი.

1. შესავალი

1.1 მონიტორინგის საგანი

მონიტორინგის საგანია:

- საარჩევნო ხარჯებისა და შემოსავლების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა;
- საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოწირულებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა;
- საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს განხორციელებული აქტივობების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

1.2 მონიტორინგის მასშტაბი

სამსახურმა განახორციელა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების (შემდგომში - არჩევნები) მონიტორინგი, რომელმაც მოიცვა როგორც არჩევნების დანიშვნამდე პერიოდი 2017 წლის 1 ივნისიდან 21 აგვისტომდე, ასევე საარჩევნო პერიოდი საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 22 აგვისტოს N22/08/01 განკარგულების ძალაში შესვლიდან (22 აგვისტო) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 19 ნოემბერს არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამების დღის ჩათვლით.

1.3 ანგარიშის მიზანი

არჩევნების მონიტორინგის ანგარიშის მიზნებია:

ა) მონიტორინგის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება საარჩევნო ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ;

ბ) საარჩევნო კამპანიის პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება;

გ) საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების მომზადება.

1.4 სამსახურის პასუხისმგებლობა

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მონიტორინგის პროცესი წარიმართა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 05 მაისის N2915/21 ბრძანება „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ";
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ";
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

საარჩევნო კამპანიის დროს სუბიექტების მონიტორინგის პროცესი დაყოფილია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის კომპეტენციებად, კერძოდ:

1. <u>ცენტრალური და საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციები</u> უფლებამოსილი არიან შეისწავლონ წინასაარჩევნო აგიტაციასთან და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 79-ე, 81-ე და 86-ე – 92-ე მუხლები). ასევე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი ვალდებულია შეამოწმოს მათ მიერ გაცემული საბიუჯეტო დაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობა („მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის მე-11 პუნქტი).

2. <u>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები</u> საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების შესახებ, ასევე სააგიტაციო მასალების არჩევნების დღიდან 15 დღის ვადაში ჩამოუხსნელობის შესახებ საკითხებზე (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლი).

3. <u>საქართველოს პროკურატურა</u> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[2] მუხლის შესაბამისად, შეისწავლის 100 ლარზე მეტი თანხით ამომრჩევლის მოსყიდვის საკითხებს. ასევე, პროკურატურა სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე - 166-ე მუხლების შესაბამისად შეისწავლის არჩევნების გაყალბების, არჩევნებში მონაწილეობის ხელისშეშლისა და სხვადასხვა საკითხს.

4. <u>საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია</u> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 82-ე და 83-ე მუხლების შესაბამისად შეისწავლის წინასაარჩევნო აგიტაციასთან, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასა და ინფორმაციის გადაცემასთან/გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ჩატარებისა და გამოქვეყნების წესების დარღვევის საკითხებს.

1.5 სამსახურის მანდატი

სამსახური „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილია:

1. შეიმუშაოს წლიური საფინანსო დეკლარაციის ფორმა და დაადგინოს პოლიტიკური ფინანსების აუდიტის სტანდარტები.
2. შეამოწმოს პარტიის საფინანსო დეკლარაციისა და საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის სისრულე, სისწორე და კანონიერება.
3. უზრუნველყოს პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა.
4. საჭიროების შემთხვევაში პარტიიდან/საარჩევნო სუბიექტებიდან, ადმინისტრაციული ორგანოებიდან და კომერციული ბანკებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებით.
5. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოითხოვოს

ინფორმაცია პარტიებისათვის და ამ კანონის 26[1] მუხლით განსაზღვრული პირებისათვის შემომწირველი ფიზიკური ან იურიდიული პირის ფინანსების შესახებ.

6. მოახდინოს რეაგირება პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევაზე და გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

ამავე ორგანული კანონის 34[2] მუხლის თანახმად, კონკრეტული სანქციებია განსაზღვრული სხვადასხვა შემთხვევისთვის, რისთვისაც სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირები ადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და განსახილველად უგზავნიან სასამართლოს:

- აკრძალული შემოწირულების დროს გათვალისწინებულია ორმაგი ოდენობის ჯარიმა და მიღებული თანხის ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება;
- კანონის მოთხოვნების დარღვევის დროს 5,000 ლარის ჯარიმა;
- სამსახურის მიერ მოთხოვნილი და კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის დროს ფიზიკურ პირებზე - 1,000 ლარი, ხოლო იურიდიულ პირებზე - 2,000 ლარის ჯარიმა;
- ამომრჩევლის მოსყიდვის დროს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გათვალისწინებულია ათმაგი ოდენობის ჯარიმა მოსყიდვის განმახორციელებლისთვის, ხოლო ორმაგი ოდენობის ჯარიმა - თანხის/საჩუქრის მიმღებისთვის.

2. არჩევნებში მონაწილე სუბიექტები და ანგარიშების წარმოდგენა

2.1 ზოგადი ინფორმაცია არჩევნების შესახებ

ანგარიში მოიცავს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მონიტორინგის შედეგებს 1 ივნისიდან 19 ნოემბრის ჩათვლით, სადაც გაერთიანებულია 3 სხვადასხვა პირობითი ეტაპი:

- წინასაარჩევნო მოსამზადებელი პერიოდი, როდესაც პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს საარჩევნო კანდიდატურების დასახელება (1 ივნისი - 21 აგვისტო);
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების დღემდე (22 აგვისტოდან - 21 ოქტომბრამდე);
- არჩევნების შემდგომი, მეორე ტურის პერიოდი საბოლოო შედეგების შეჯამებამდე (22 ოქტომბრიდან - 19 ნოემბრამდე).

საარჩევნო კამპანიისთვის მოსამზადებელი საქმიანობა სამსახურმა დაიწყო ივნისიდან. ამ პერიოდის განმავლობაში კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიებს მონიტორინგის სამსახურმა გაუგზავნა წერილობითი ინფორმაცია სარჩევნო კამპანიის ფარგლებში სამსახურის მიმართ არსებული ვალდებულებებისა და ვადების შესახებ, ასევე აცნობა გადაწყვეტილება არჩევნების დანიშვნამდე ყოველთვიური დეკლარაციების წარდგენის ვალდებულების დადგენის შესახებ.

ამასთანავე, სამსახურმა შეიმუშავა მოქმედი რეგულაციებისა და ვადების შესახებ ძირითადი ინფორმაციის შემცველი განცხადება და წერილის ნიმუში, სამსახურისთვის ინფორმაციის წარმოდგენის დროს შესავსებად. მედიასაშუალებებსა და სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნების გარდა, აღნიშნული განცხადება და წერილის ნიმუში გაეგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საოლქო კომისიებში გავრცელების მიზნით.

წინასაარჩევნო პერიოდში, ყოველდღიურად იმართებოდა ინდივიდუალური შეხვედრები და სატელეფონო კონსულტაციები საარჩევნო სუბიექტებთან, სადაც განიხილებოდა ნებისმიერი ფინანსური თუ პროცედურული საკითხები. პოლიტიკური ფინანსების მეტი გამჭვირვალობის მიზნით, სრული საარჩევნო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ფუნქციონირებდა სამსახურის ცხელი ხაზი (243-81-53), რომელზეც შესულია 600-მდე შეკითხვა.

სამსახურის ინიციატივით მოსამზადებელ პერიოდში ჩატარდა 3 სამუშაო შეხვედრა საარჩევნო საკითხებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, ხოლო 25 აგვისტოდან[1] სამსახურის მოწვევით, ადგილობრივ და

[1] „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობისა და კანონიერების მონიტორინგის საკითხებზე მომუშავე დროებითი საკონსულტაციო კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შეიქმნა საინფორმაციო/საკონსულ-ტაციო კომისია, რომლის ფარგლებშიც 15 წევრისა და 3 დამკვირვებელი ორგანიზაციის მონაწილეობით გაიმართა 4 შეხვედრა.

კომისიის შემადგენლობაში წევრის სტატუსით მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციები:

1. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.
2. სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრი.
3. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი.
4. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.
5. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
6. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.
7. საერთო სამოქალაქო მოძრაობა - „მრავალეროვანი საქართველო“.
8. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი.
9. ახალი თაობა - დემოკრატიული საქართველოსათვის.
10. დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი.
11. თავისუფალი არჩევანი.
12. ადამიანის უფლებათა ცენტრი.
13. ინსტიტუციური განვითარების და მონიტორინგის ცენტრი.
14. საზოგადოებრივი დამცველი.
15. ახალი თაობა - დემოკრატიული არჩევნები.

წევრი ორგანიზაციების გარდა, კომისიის საქმიანობას დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდა 3 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია:

1. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი.
2. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი.
3. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი.

შეხვედრებზე მიმდინარეობდა მსჯელობა სამსახურის წინაშე არსებული პრობლემური საკითხების შესახებ. განხილულ იქნა სამსახურის მიერ მოძიებული საკითხები და საარჩევნო სუბიექტების სასარგებლოდ განხორციელებულ შემოწირულებებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოკითხვების შედეგები. ასევე განხილულ იქნა წარმოდგენილ ფინანსურ ინფორმაციებში აღმოჩენილი ხარვეზებიც.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების დროს დაიგეგმა მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით ერთობლივი მუშაობის გაგრძელება საარჩევნო პერიოდის შემდგომაც.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2017 წლის 25 აგვისტოს N05912/21 ბრძანების შესაბამისად.

2.2 ანგარიშების წარდგენა

2017 წლის არჩევნებში დარეგისტრირდა 300-ზე მეტი საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი, საიდანაც კანდიდატურების მოხსნის შემდგომ, არჩევნების დღისათვის, დარჩა 22 პოლიტიკური პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი და 199 საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატებიდან 10 იყო მერობის, ხოლო 189 საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი.

არჩევნებში მონაწილე ყველა პირს საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, რეგისტრაციისთანავე წარმოეშვათ ვალდებულება 3 კვირაში ერთხელ წარმოედგინათ 3 შუალედური პერიოდის დეკლარაცია. ასევე პირველი ტურის შემდგომ გამარჯვებულ კანდიდატებს 18 დღეში და ყველა კანდიდატს არჩევნების შეჯამებიდან დაევალათ 1 (ერთი) თვის ვადაში სრული პერიოდის საარჩევნო დეკლარაციების წარდგენა.



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, 12 ნოემბერს 6 ოლქში გაიმართა არჩევნების მეორე ტური, სადაც მონაწილეობდა 2 პოლიტიკური პარტია, 2 საარჩევნო ბლოკი და 2 დამოუკიდებელი კანდიდატი. კერძოდ:

1. პოლიტიკური პარტია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.
2. პოლიტიკური პარტია - „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.
3. საარჩევნო ბლოკი - „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო“.
4. საარჩევნო ბლოკი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.
5. დამოუკიდებელი კანდიდატი - კონსტანტინე შარაშენიძე.
6. დამოუკიდებელი კანდიდატი - რამაზ ნოზაძე.

მეორე ტურის დანიშვნის შესაბამისად, მონიტორინგის სამსახურის მიერ განისაზღვრა ინფორმაციის წარმოდგენის ახალი გრაფიკი, რომელმაც მეორე ტურში მონაწილე 6 სუბიექტი დაავალდებულა წარმოედგინა 22 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის ანგარიში, ხოლო არჩევნების შეჯამებიდან ერთი თვის ვადაში - ჯამური დეკლარაცია.

შემაჯამებელი დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება განისაზღვრა მეორე ტურში მონაწილეობის მიხედვით, შესაბამისად, მხოლოდ პირველ ტურში მონაწილე პირებს დაევალათ

1 (ერთი) თვის ვადაში ანგარიშის წარდგენა 22 აგვისტოდან პირველი ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, ხოლო მეორე ტურში გასულ პირებს გაერთიანებული დეკლარაცია - 22 აგვისტოდან 19 ნოემბრის ჩათვლით. ასევე აღსანიშნავია, რომ ორივე პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ყველა იმ სუბიექტმა, რომელიც მიიღებს ხმების გამსვლელ რაოდენობას, წინასწარი ანგარიში უნდა წარადგინოს 18 დღის ვადაშიც. ორივე პერიოდის შემთხვევაში 10,000 ლარზე მეტი ბრუნვის არსებობის დროს, დეკლარაციის წარმოდგენის პარალელურად „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სავალდებულო იყო მონაცემების აუდიტორულ დასკვნასთან ერთად წარდგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილ იქნა შემდეგი პერიოდების ანგარიშები:

1. ივნისის თვის ანგარიში.
2. ივლისის თვის ანგარიში.
3. ანგარიში 1 აგვისტოდან - 21 აგვისტოს ჩათვლით.
4. 22 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით.
5. 12 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით.
6. 3 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით.
7. პირველ ტურში მონაწილე იმ სუბიექტების ანგარიშები, რომლებმაც
   - გადალახეს შესაბამისი ზღვარი და არ მონაწილეობდნენ მეორე ტურში (არჩევნების დღიდან 18 დღეში და არჩევნების შეჯამებიდან 1 თვეში);
   - ვერ გადალახეს შესაბამისი ზღვარი და არ მონაწილეობდნენ მეორე ტურში (არჩევნების შეჯამებიდან 1 თვეში).
8. მეორე ტურის ანგარიში (22 ოქტომბერი - 12 ნოემბერი).
9. ჯამური პერიოდის საარჩევნო ანგარიშები:
   - 22 აგვისტოდან 12 ნოემბრის ჩათვლით (18 დღეში - წინასწარი მდგომარეობით);
   - 22 აგვისტოდან 19 ნოემბრის ჩათვლით (1 თვის ვადაში - მეორე ტურში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის).

საარჩევნოდ სულ მოთხოვნილ იქნა 11 სხვადასხვა პერიოდის ანგარიში. შედეგად, მონიტორინგის სამსახურში არჩევნებში მონაწილე 226 სუბიექტის მიერ ჯამში წარმოდგენილია 831 ხარჯის ანგარიში, 250 საინფორმაციო წერილი და 424 ანგარიში შემოწირულების მიღების შესახებ. ასევე რეგის-ტრაციიდან მოხსნილი სუბიექტების მიერ წარმოდგენილია 37 დოკუმენტი.



წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზის პროცესში სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნა საბანკო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციები. შესაბამისად, თითოეული დეკლარირებული ხარჯისა და შემოსავლის გადამოწმება განხორციელდა საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშებთან და შედარდა საარჩევნო ანგარიშებში დაფიქსირებულ დანიშნულებასთან.

მონიტორინგის სამსახურის ანალიტიკოსებმა აღრიცხეს ინფორმაციის წარმოდგენის ვადები, რა დროსაც დაფიქსირდა არაერთი უზუსტობა. ინფორმაციის წარმოდგენის ვადის დარღვევისას გაიგზავნა დამატებითი წერილები და შედგა სატელეფონო კომუნიკაციები, ხოლო ამ პრევენციული ღონისძიებების მიუხედავად, ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევებში, შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები.

ინფორმაციის წარმოდგენის დროს ვადის დარღვევა და მოთხოვნის შეუსრულებლობა დაფიქსირდა 97 სუბიექტის შემთხვევაში, ზოგიერთი რამდენჯერმე წარსდგა სასამართლოს წინაშე. ჯამში, სამსახურის მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო შედგენილ იქნა 131 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი - 128 დამოუკიდებელი კანდიდატის და 3 პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ. შედგენილი ოქმებიდან 34 იყო განმეორებითი შემთხვევა.



დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართ N1-ში.

3. შემოსავლების ანალიზი

საარჩევნო სუბიექტების შემოსავლები შედგება სხვადასხვა კომპონენტისგან, რომლებიც ძირითადად გამოყენებულია საარჩევნო კამპანიის ხარჯის დაფინანსებისთვის. დაფინანსების დიდი წილი მოდის შემოწირულებაზე, მაგრამ, ამავდროულად პარტიების უმრავლესობა ძირითად ხარჯებს აფინანსებს საბიუჯეტო რესურსებიდან. აქვე აღსანიშნავია მიზნობრივი საარჩევნო დაფინანსება, რომელიც განკუთვნილია საარჩევნო უბანსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში პარტიის წარმომადგენლების ხარჯის და საარჩევნო სატელევიზიო რეკლამის დაფინანსების მიზნებისთვის.

ჯამში, პოლიტიკური პარტიების მიერ არჩევნების დროს მიღებულია 27,942,872 ლარის შემოსავალი, რომელიც გასულ არჩევნებზე ნაჩვენები შედეგების შესაბამისად, ნაწილდება კვალიფიციურ სუბიექტებზე. საბიუჯეტო დაფინანსება მიღებული აქვს სულ 14 საარჩევნო სუბიექტს, ხოლო მიზნობრივი სატელევიზიო რეკლამის ანაზღაურების თანხა - 13 პოლიტიკურ პარტიას (იხ. დანართი N2).

3.1 საბიუჯეტო შემოსავალი

საბიუჯეტო დაფინანსება არჩევნების დროს მხოლოდ 14 საარჩევნო სუბიექტს ჰქონდა, რადგან კვალიფიციური პარტიებიდან 4 სუბიექტი არჩევნებში არ იღებდა მონაწილეობას, ხოლო 2 პარტია გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში სხვა სუბიექტთან და მათი საბიუჯეტო შემოსავალი მოცემულია გაერთიანებული სახით. შედეგად, ჯამში სუბიექტებმა მიიღეს 10,638,441 ლარის საბიუჯეტო დაფინანსება, კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	საბიუჯეტო შემოსავალი
1.	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	1,566,927
2.	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1,542,615
3.	გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	1,012,915
4.	ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	922,089
5.	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	823,882
6.	დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო	737,288
7.	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	685,431
8.	ეროვნული ფორუმი/შენების მოძრაობა	518,192
9.	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	518,192
10.	სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო	509,946
11.	მოძრაობა - სახელმწიფო ხალხისთვის	509,946
12.	„თავისუფლება“ - ზვიად გამსახურდიას გზა	431,142
13.	ქართველ ტრადიციონალისთა კავშირი	431,142
14.	ახალი ქრისტიან - დემოკრატები	428,734
	სულ:	**10,638,441**

წარმოდგენილ გრაფიკზე აღნიშნულია როგორც მიზნობრივი, ისე არამიზნობრივი საბიუჯეტო დაფინანსების მიღების პერიოდულობა:



3.2 შემოწირულებები

1 ივნისიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ჯამში განხორციელებული 16,418,892 ლარის შემოწირულებიდან 90%-ზე მეტი მიღებულია „ქართული ოცნების“ მიერ, კერძოდ:



მნიშვნელოვანია ინფორმაციის სამსახურის მიერ დადგენილი 7 სხვადასხვა პერიოდის მიხედვით განხილვა, რა დროსაც შესაძლებელია დავინახოთ შემოწირულებების ტენდენცია:



შემოწირულებების უმეტესობა, დაახლოებით, 70% დაფიქსირებულია ფიზიკური პირების მიერ:



შემოწირულებების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია დანართ N3-ში

3.2.1 ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ფულადი შემოწირულება

შემოწირულებების შესწავლის პროცესი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და შესაბამისად, სამსახურის მიერ შემომწირველების შესახებ ინფორმაციის მოძიების პროცესის დასრულება მინიმუმ 1 (ერთი) თვის შემდგომ ხორციელდება.

შესწავლის ძირითადი წყაროა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემები. აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა ხდება მხოლოდ მოსამართლის თანხმობის საფუძველზე, რასაც შესაბამისი დასაბუთება ესაჭიროება.

წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებული შემოწირულებების შესწავლის მიზნით, მონიტორინგის სამსახურმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გააგზავნა მოთხოვნა შემოსავლების სამსახურიდან 700-მდე ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვაზე თანხმობის მოპოვების მიზნით. ფიზიკური პირების შესწავლის პროცესში ინფორმაციების მოძიება შემოსავლების სამსახურის გარდა, ასევე ხდება:

- სამოქალაქო რეესტრში - მოქალაქეობისა და რეგისტრაციის შესახებ;
- საპენსიო და სოციალურად დაუცველთა ბაზებში;
- სამეწარმეო რეესტრში - პირის კომპანიებთან კავშირისა და სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ;
- უძრავი ქონების რეესტრში - ქონების რეალიზაციისა და იპოთეკის რეგისტრაციის შესახებ.

ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული შემოწირულებებისა და აღნიშნულ ბაზებში გადამოწმებული ინფორმაციის ანალიზისას, დამატებითი კითხვების არსებობის გამო, გამოკითხვაზე დაბარებული იყო სულ 53 პირი, საიდანაც, გამოიკითხა მხოლოდ 32 შემომწირველი ფიზიკური პირი, ხოლო დარჩენილი პირების სახელზე მონიტორინგის სამსახურის მიერ გაგზავნილი უწყებების ჩაბარება ვერ მოხერხდა.

სამწუხაროდ, გამოკითხვაზე დაბარებული ფიზიკური პირების დიდ ნაწილს იურიდიული მისამართი, რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის ბაზებში და ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი სხვადასხვა აქვს, რაც ხელს უშლის სამსახურს პირების დროულად გამოკითხვასა და ინფორმაციის გადამოწმებაში.

3.2.2 იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ფულადი შემოწირულება

იურიდიულ პირებთან მიმართებაში განხორციელდა შესწავლა მათი საბოლოო ბენეფიციარების, შესყიდვებში მონაწილეობისა და მიღებული შემოსავლების შესწავლის კუთხით, კერძოდ:

- დეკლარაციების მოძიება სასამართლოს თანხმობით და მოგება-ზარალის შესწავლა;
- ქონებრივი საკითხების შესწავლა;
- რეგისტრაციისა და პარტნიორების მოქალაქეობის შესწავლა;
- დაკავშირებული კომპანიებისა და პირების შესწავლა;
- შესყიდვებში მონაწილეობა და შემოსავლების ანალიზი;
- სამართლებრივი ფორმების შესწავლა.

სულ საარჩევნო პერიოდში დაფიქსირებულია 70 შემომწირველი იურიდიული პირი, საიდანაც 60 არის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შემომწირველი, ხოლო 10 იურიდიული პირი, ჯამური თანხით 5,711 ლარი, წარმოადგენს 4 სხვადასხვა პარტიის და 3 დამოუკიდებელი კანდიდატის შემომწირველს. კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	შემოწირულება ჯამი
1.	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	4,414,563
2.	შენების მოძრაობა/ეროვნული ფორუმი	4,821
3.	ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	550
4.	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	250
5.	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	90
6.	ილია კაპანაძე (დამოუკიდებელი კანდიდატი)	1,350
7.	დავით ვანიშვილი (დამოუკიდებელი კანდიდატი)	180
8.	ვახტანგ ზენაიშვილი (დამოუკიდებელი კანდიდატი)	200
9.	ჯოზეფ ალექსანდერ სმიტი (დამოუკიდებელი კანდიდატი)	250
10.	თეიმურაზ რუხაძე (დამოუკიდებელი კანდიდატი)	80
	სულ:	**4,422,334**

3.2.3 არაფულადი შემოწირულებები

ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ჯამში განხორციელებულია 118,346 ლარის არაფულადი შემოწირულება. ფიზიკური პირების მხრივ, ლიდერობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 26,527 ლარით, ხოლო იურიდიული პირებიდან - ქართული ოცნება - 40,213 ლარით.

ასევე აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი კანდიდატების დიდ ნაწილს თავად აქვს საკუთარი კამპანიისთვის განხორციელებული არაფულადი შემოწირულება. შემოწირულებების სრული ინფორმაცია მოცემულია დანართ N3-ში.

3.2.4 საწევრო შენატანები

საწევრო შენატანების მხრივ ამ არჩევნების დროს, ისევე როგორც წინა პერიოდებში, პოლიტიკური პარტიის წევრები არ იყვნენ აქტიურები.

2017 წლის 1 ივნისიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, მხოლოდ 3 პოლიტიკური პარტიის წევრები იხდიდნენ საწევრო შენატანს, რამაც ჯამში მხოლოდ 702 ლარი შეადგინა. სიის სათავეში არის საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია 522 ლარით, მეორე ადგილზე - საქართველოს რესპუბლიკური პარტია 120 ლარით, ხოლო მესამეზე - ქართული ოცნება 60 ლარით.



სრული ინფორმაცია მოცემულია სამსახურის ვებგვერდზე www.monitorings.sao.ge

4. ხარჯების ანალიზი

მონიტორინგის სამსახურმა შეისწალა 1 ივნისიდან 1 ნოემბრის ჩათვლით პირველ ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისა და 19 ნოემბრის ჩათვლით ორივე ტურში მონაწილე სუბიექტების ანგარიშები და დეკლარაციები.

4.1 პოლიტიკური პარტიების ხარჯები

ჯამში პოლიტიკური პარტიების მიერ დახარჯულია 27,270,568 ლარი (დანართი N4), საიდანაც საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების მიერ სულ 22,687,577 ლარია დახარჯული, ხოლო ჯამური ხარჯის 65%-მდე, დახარჯულია „ქართულ ოცნების“ მიერ.



წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები თანხას ძირითადად ხარჯავდნენ რეკლამაში. გარდა რეკლამისა, მნიშვნელოვანი თანხებია დახარჯული ასევე შრომის ანაზღაურებასა და თანამშრომლების მივლინებებში.



არჩევნების დროს გაწეული ხარჯების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ტენდენცია, ინფორმაციის წარმოდგენის 7 სხვადასხვა პერიოდში, 4 ყველაზე მეტი ხარჯის

მქონე და ამავე დროს საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი პარტიის მიერ განხორციელებულ ხარჯებთან დაკავშირებით, კერძოდ:



4.2 დამოუკიდებელი კანდიდატების ხარჯები

არჩევნების განმავლობაში ხარჯისა და შემოწირულების მქონე 65 დამოუკიდებელი კანდიდატი დაფიქსირდა. კანდიდატების მიერ მიღებული შემოსავლები იდენტურია მიღებულ შემოწირულებებთან, ხოლო გაწეული ხარჯები, მცირედით ჩამორჩება, რადგან კანდიდატების დიდმა ნაწილმა მიიღო არაფულადი შემოწირულება. არაფულადი შემოწირულება ხარჯში არ დაფიქსირებულა, რადგან არაფულადი შემოწირულება გულისხმობს მომსახურების ან გარკვეული აქტივის უსასყიდლოდ დათმობას:

- ჯამური ხარჯი - 236,539 ლარი;
- ჯამური შემოსავლები - 273,907 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ხარჯის უმეტესობა გაწეულია რეკლამაზე, რაც ჯამური ხარჯის 73%-ზე მეტს შეადგენს - 166,088 ლარის ოდენობით.

დამოუკიდებელ კანდიდატებში ლიდერობს თბილისის მერობის კანდიდატი, ალექსანდრე ელისაშვილი, რომელმაც ჯამში 126,105 ლარის ხარჯი გასწია, ხოლო ჯამში ფულადი და არაფულადი სახით - 148,912 ლარის შემოწირულება მიიღო.

სრული ინფორმაცია მოცემულია დანართ N5-ში.

5. საჩივრებისა და დარღვევების შესწავლა

არჩევნების პერიოდში სამსახურმა 5 სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა პოლიტიკური გაერთიანებების წინააღმდეგ, ხოლო 128 ოქმი - დამოუკიდებელი კანდიდატების წინააღმდეგ, რომლებიც პერიოდულად იგზავნებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. კერძოდ:

N	პირის დასახელება	შინაარსი	სანქცია (ლარი)
1.	**საქართველოს ლეიბორისტული პარტია**	ნაღდი ფულის გატანის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა	**2000 ლარი**
2.	**პარტია „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“**	ნაღდი ფულის გატანის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა	**2000 ლარი**
3.	**პარტია „საქართველო“**	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	**შენიშვნა**
4.	**მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“**	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	**შენიშვნა**
5.	**მერაბ კოსტავას საზოგადოება**	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	**შენიშვნა**
6.	**106 დამოუკიდებელი კანდიდატი**	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	**შენიშვნა**
7.	**6 დამოუკიდებელი კანდიდატი**	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	**1000 ლარი**
8.	**16 დამოუკიდებელი კანდიდატი**	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	**მიმდინარე**

დამოუკიდებელი კანდიდატების მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართ N1-ში.

აღნიშნულის გარდა, შემოსული საჩივრებისა და მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, სამსახურმა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება (იხ. დანართი N6).

